ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №2

20 დეკემბერი 2021 წელი

14:00 საათი

ა/წ 20 დეკემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ირაკლი ხელაძე;
3. ლევან აბაშიძე;
4. ანა კაკაბაძე;
5. ნათია მოდებაძე;
6. სოფიო ჯაფარიძე;
7. ლილე ლიპარტელიანი;
8. მამუკა გუგეშაშვილი;

მოწვეული პირები:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და სამომავლო პროექტების შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ

საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი. კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ მოკლედ მიმოიხილა 2021 წლის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ქვეპროგრამები და დასძინა რომ ქალაქის მასშტაბით 34-მდე ქვეპროგრამა მუშაობს. ასევე აღნიშნა ისიც, რომ მომავალ 2022 წელს ჯანდაცვის პროგრამების ბიუჯეტი იზრდება 3 მილიონი ლარით, ჯამში კი ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ბიუჯეტი იზრდება 30 მილიონი ლარით. მან ასევე ისაუბრა დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც მოსარგებლე პირების მოძიება და ჩართვა განხორციელდება ორგანიზებული მოწვევის გზით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული სიების შესაბამისად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო სიახლეები, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მიმართულებით 2022 წელს, კერძოდ: გაფანტული სკლეროზის მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამას დაემატა კვლევების დაფინანსება. განახლებული ქვეპროგრამა გულისხმობს არამარტო გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების-ოკრელიზუმაბის და ფინგოლიმოდის დაფინანასებას, არამედ მკურნალობის პროცესში მდგომარეობის შეფასების მიზნით მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (MRT) დაფინანსებას ქიმიური აგენტების გამოყენებით.

კომისიის წევრებს გელა ჩივიაშვილმა გააცნო ცვლილებები რომელიც იგეგმება დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესში. კერძოდ 2022 წლიდან ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობას საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის კომპონენტში დაემატება HPV-ტესტირება (პაპილომა ვირუსის გენოტიპირების ტესტი). აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში გარდა ეროვნული სკრინინგ ცენტრისა ჩართულია სხვა სამედიცინო დაწესებულებებიც (ქვეკონტრაქტორი) ჯანდაცვის სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ კომისიის წევრებთან ერთად დაგეგმა ვიზიტი ეროვნულ სკრინინგ ცენტრში 2022 წლის იანვრის თვის 20 რიცხვის შემდგომ.

გელა ჩივიაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა ახალი, „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამა, რომლის განხორციელება დაიწყება 2022 წლიდან. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოსარგებლე პირები არიან ქალაქ თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის მოქალაქეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არ აღემატება 200 000-ს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული

ვაუჩერის წლიური ლიმიტი შეადგენს 500 ლარს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერადად, ლიმიტის ამოწურვამდე, კალენდარული წლის განმავლობაში.

აზრი გამოთქვეს:

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა ლევან აბაშიძემ დასვა კითხვა, ხომ არ იგეგმება გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის მოსარგებლეთა ზედა ასაკობრივი ზღვარის მოხსნა. გელა ჩივიაშვილმა პასუხი გასცა დასმულ კითხვას, რომ თუ ნევროლოგთა ასოციაციის მიერ იქნება რეკომენდაცია ასაკობრივი ზღვარის მოხსნის თაობაზე, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული პროგრამის განხორციელების წესში. ამასთან, დასძინა რომ ამ ეტაპზე პროგრამის მოსარგებლეა 94 პირი (მედიკამენტის მიმღები).

გელა ჩივიაშვილის განმარტებით იზრდება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის ბიუჯეტი და მოცულობა, ცვლილება წარმოდგენილი იქნება 2022 წლის აპრილის თვეში. ქვეპროგამაში ჩართვის მსურველთა მზარდი სტატისტიკის გამო აღნიშნულ ქვეპროგრამას ასევე ყოველწლიურად ემატება 200-მდე ბენეფიციარი.

აღნიშნულთან დაკავშირებით კითხვა დასვა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა ირაკლი ხელაძემ, არიან თუ არა ამ ეტაპზე პროგრამის მომლოდინეები. გელა ჩივიაშვილის განმარტებით ამ ეტაპზე აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის მომლოდინეა 100-მდე პირი, ვინაიდან სერვისების მიმწოდებლებს მოსარგებლეთა გაზრდილი მიმართვიანობის გამო არ აქვთ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. ამასთან, ქვეპროგრამით მოსარგებლის სტატუსი მოეხსნა 87 პირს დასმული დიაგნოზის სრულად მოხსნის ან ცდომილების გამო.

გელა ჩივიაშვილმა ასევე ისაუბრა ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის მიმწოდებლად რეგისტრაციის კრიტერიუმზე, რომ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მედიკამენტის მწარმოებელი საწარმოს ევროკავშირის ქვეყნის, ან EMA-ს (ევროპის წამლის სააგენტო) ან აშშ-ის მარეგულირებლის (FDA) მიერ გაცემული სერთიფიკატი.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ იკითხა, როგორ მოხდება მოსარგებლეებისთვის ვაუჩერის გადაცემა ახალი, „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის ფარგლებში. დასმულ კითხვასთან დაკავშირებით გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ ვაუჩერი იქნება ელექტრონული ფორმით და მკურნალი ექიმის მიერ ელექტრონულ მოდულში ასახული დანიშნული მედიკამენტები განთავსდება შესაბამის პროგრამულ ველში, რომლის შემდგომაც მედიკამენტის დაფინანსების შესახებ მიღებული მოთხოვნის უნიკალური კოდის გამოყენებით მისი

მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში შეძლებენ მოსარგებლეები ვაუჩერით სარგებლობლობას.

კომისიის წევრმა ირაკლი ხელაძემ გამოთქვა მოსაზრება, ხომ არ შეზღუდავს „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი ბენეფიციარებისთვის სხვა მუნიციპალურ პროგრამებზე წვდომას, რაზეც გაკეთდა განმარტება გელა ჩივიაშვილის მხრიდან, რომ ზემოთხსენებული ქვეპროგრამის მოსარგებლეები არ შეიზღუდებიან სხვა ჯანდაცვის და სოციალური პროგრამებით სარგებლობისას.

კომისიის წევრი მამუკა გუგეშაშვილი დაინტერესდა რომელი აფთიაქები მოემსახურებიან „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამით მოსარგებლეებს, რაზეც მას განემარტა რომ ქვეპროგრამაში ჩართული იქნება ყველა ძირითადი სააფთიაქო ქსელი (სს ,,გეფა'', ავერსი, პსპ).

კომისიის წევრმა ირაკლი ხელაძემ იკითხა, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის ვაუჩერის თანხა (250 ლარი) რამდენად არის საკმარისი შესაბამისი ქვეპროგრამის მოცულობით განსაზღვრული მომსახურეობის გასაწევად, რასთან დაკავშირებითაც გელა ჩივიაშვილის მხრიდან მას განემარტა რომ, ამ ეტაპზე ქვეპროგამით განსაზღვრული მომსახურების განსახორიცელებად თანხის დამატების საჭიროება არ არსებობს.

კომისიის წევრმა სოფიო ჯაფარიძემ წამოჭრა საკითხი, რომ მომავალში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის პროგრამებში გათვალისწინებული იქნას ენდოპროთეზირების დაფინანსების საკითხი და გამოთქვა მზაობა ითანამშრომლოს დარგის სპეციალისტ ექიმებთან, მომავალში პროექტის ინიცირების მიზნით. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილის ინფორმაციით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს აღნიშნულ საკითხზე და მომავალში წარმოადგენს მას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიურ ფორმატში განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე მიიჩნევს, რომ სასურველია პირველ ეტაპზე დაინერგოს საპილოტე პროგრამა ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირთა დაფინანსებისათვის.

კომისიის წევრმა მამუკა გუგეშაშვილმა გამოთქვა მოსაზრება რომ, უფასო სასადილოებით მომსახურების მიმართულებით ბიუჯეტში თანხები არ შეცვლილა, ასევე წამოჭრა საკითხი, რომ მომავლაში კვების რაციონი სრულად ჩანაცვლდეს მშრალი კვებით.

კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჩიკვილაძის აზრით უფასო სასადილოებით მომსახურების ქვეპროგრამა არ არის იდეალური, თუმცა ყოველწლიურად ხდება პროგრამული ბიუჯეტის ზრდა. 2022 წლიდან იგეგმება ზემოთხსენებული პროგრამის ბიუჯეტის ზრდა 6 მილიონი ლარით და წარმოდგენილი იქნება ჯამში 26 მილიონი ლარით. ამასთან უფასო სასადილოებით მოსარგებლეებისთვის კვების რაციონი და კალორაჟი შემუშავებულია და მოწოდებულია სპეციალისტების მიერ.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ უფასო სასადილოებით მოსარგებლეებისთვს მშრალი კვების შეთავაზების შემთხვევაში ხარჯები მკვეთრად გაიზრდება და შესაძლოა თითოეულ მოსარგებლეზე შეადგინოს 7 ლარი. კომისიის თვამჯდომარემ გამოთქვა მზაობა ითანამშრომლოს კომისიის ყველა წევრთან აღნიშნულ საკითხზე ინოვაციების წარმოდგენის შემთხვევაში და ასევე დაგეგმა ვიზიტი ჩუღურეთის რაიონის უფასო სასადილოში კომისიის წევრების სრული შემადგენლობით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის გარდა დღის წესრიგში შეიტანა და რიგგარეშე კენჭისყრაზე დააყენა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ირაკლი ხელაძის არჩევის საკითხი.

აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე